

გამოცემის პერიოდი. „კონტაქტ“ ერთიან

კონტაქტ



ორგანიზაცია
ორგანიზაცია

60 თვეთისი

ორგანიზაცია

№126 (1152) 9 - 10 დეკემბერი, 2015 წლის

ვარასევავი

ბირჩევი ესტუარი
კარილ გესტვირიშვილი
გაცვლის 4
გვ. 4

ნაციონალურის საარჩევნო ინტრიგა



ფოვებუნ თუ
არა პარტიას
პოპულარული
ღიღენები და
ნოგორ აღგენენ
საარჩევნო სიახ

გვ. 3

ვინ არის „ღონია-კოსმოსი“, არის თუ არა სააკაშვილის
პროექტი და აქვს თუ არა კავშირი „ნაციონალების
სკანდალთან“ ღეონიდ ჩერნოვეცის გამოჩენას

აკაკი ბოგოლეივი:

„ვისაც სააკაშვილი არ
მოსწონს, ჩვენს პარტიას
ყველა ღაემშვილობება“

ნინესაარჩევნო ეკონომიკური გლეფი

გვ. 5



საანსებო მინიმუმი 163 ლარის
— 1.18-ლარიანი ნაციონისა და
500-ლარიანი პეტროვის აფერა

ჩამოსილი აქცია უაზრიარეს ინიციატივის
ნინებადაგ და კონტრაქცია სახელმოძღვანზე
„არა ეკლასის ღისკარიზაციას“



„აქარის გაელიავილთა კავშირი“ გვ. 2
გათავაზი საარჩევნო აკლიმა იცვებს იცვებს
ემუქრება თუ არა აქარის გათურქება
და ნაფოდ არ ღგამენ ბათუმში
„ოსმალთა ბატონობისგან
გათავისუფლების“ მემორიალს

კალაჭოს მსევერალი ეკლეგისთვის ახალი თავშესაფარი გაისწა

გვ. 7



„მოძალისგან ნამოსვლა გმირობაა.
ჩვენ ველოდებით ასეთ გმირებს“

**ჩამოსული აქცია პატრიარქის ინიციატივის შენაღებაზე და
კონცერნაკცია სახელმოძღვით „არა ეკლესიის ღისკრებითაციას“**

፩፻፲፭ ቅዱሳሽን

598-47-87-14

მთავრობის ადმინისტრაციისათან საპროტესტო
აქცია მას შემდეგ დაინიშნა, რაც იღლია მეორემ
პრემიერს თხოვნით მიმართა — პატრიარქს
პატიმრების შეწყალების უფლება მიანიჭეთო,
მთავრობის მეთაურმა კი გუნდს, ასევე პრეზიდენტს,
ამ საკითხზე მუშაობის დაწყებისკენ მოუწოდა. აქცია,
სახელწოდებით, „გადადექი! წადი მონასტერში“,
სოციალურ ქსელში დაიგეგმა. ორგანიზატორების
განმარტებით, ხელისუფლების წარმომადგენლები
მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ მხარდაჭერით
წინასაარჩევნოდ მანიპულირებენ და მოვალეობას
ჯეროვნად ვერ ასრულებენ.

აქციის ორგანიზატორები, სოციალურ ქსელში გავრცელებულ განცხადებაში, მთავრობის წევრებს შეახსენებდნენ, რომ დაქირავებული მოხელეები არიან და ხელფასს საქმისა კეთებისათვის უნდა იღებდნენ და არა ლოცვისათვის. ისინი მოუწოდებდნენ თანამდებობის პირებს, გამიჯნონ რელი-გიური შეხედულებები და თანამდებობრივი მოვალეობები; წინააღმდეგ შემთხვევაში, გადადგნენ: „უკვე ნორმად იქცა პოლიტიკოსების მხრიდან რელიგიური სენტიმენტებით სპეციულირება, საპატრიარქოსა და პატრიარქთან კეკლუცი, რაც განასაკუთრებით აქტიურდება საარჩევნო კამპანიის პერიოდში. ეს უკანასკნელი ნამდვილ მარათონს ემსგავსება იმის მტკიცებით, თუ ვინ უფრო მართლმადიდებელია და ვის უჭირავს უფრო გრძელი სანთელი. ვფიქრობთ, სახიფათო პრატიკაა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან პერიოდულად წამოყენებული ინიციატივები, პატრიარქისათონ და მას გადაბარონ მნიშვნელოვანი საჯარო საკითხების მოგვარება-გადაწყვეტა. მოვითხოვთ ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, რელიგიური გრძნობები და ტოვონ სახლში და მოძღვართან, გამიჯნონ მისგან სახელმწიფო მოხელის ფუნქციები და ვალდებულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ გადადგნენ“.

მთავრობის ადმინისტრაციის შენობამდე რამდენიმე წამი-
ჯი მაშინებდა. წესით, უკვე უნდა დამენახა აქციის მონაწილეები... მათ შორის, უფლებადადამცველი და პოლიტპატიმარი
გიორგი გაბედავა ვიცანი. გავარკვიე, რომ გაბედავა და მისი
თანამოაზრული მართავდნენ, დაანონსებული აქციის კონ-

**შე მიღისტრი აჯა-ს
სახელმიწოდ აციქეარკოტიკული
და სამართალდამცავ
ორგანოებთან ურთიერთობაგაის
სამართლებრისო პირობები ენვია**

საქართველოს შპ მინისტრი გიორგი მდებრიშვილი ამერიკაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება, ვიზიტის ფარგლებში, გიორგი მდებრიშვილმა შეხვედრა გამართა აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო პიუროს უფროსთან, სახელმწიფო მდივნის მოადგილე უილიამ ბრაუნფილდთან.

„შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმ-
წიფო დეპარტამენტს შორის არსებული თანამშრომლობის
სფეროები, მიღწეული პროგრესი და სამომავლო გეგმები
განიხილეს. „ყველაზე ძლიერი იარაღი ესაა განათლება,
ამიტომ ჩემი მუშაობის ერთ-ერთი პრიორიტეტია შსს-ს-
აკადემიის განვითარება და მისი რეგიონულ ცენტრად
გარდაქმნა, რაც ჩვენი სისტემის უფრო გაძლიერების
არსებითი პირობაა“, — განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.
მინისტრმა ასევე ისაუბრა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოე-
ბის პროგრამასა და მის მნიშვნელობაზე. ხაზი გაუსვა მრა-
ვალწლიან და ნაყოფიერ თანამშრომლობას სახელმწიფო
ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანობთან ურთ-
იერობების საერთაშორისო ბიუროსთან (INL), რომელიც
აქტიურად ეხმარება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინ-
ისტროს ევროპატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით
რეფორმების განხორციელებაში.

აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალ-დამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს ნარმომადგენლებმა მზადყოფნა გამოთქვეს, უწყების განვითარების პროცესში საკუთარი წვლილი მომავალშიც შეიტანონ, მხარი დაუჭირეს დაგეგმილ რეფორმებს და შე-მუშავებული პროექტების დეტალებით დაინტერესდნენ. „მივესალებით თქვენი უწყების გაყოფას და მიგვაჩნია, რომ ასეთ პირობებში შინაგან საქმეთა სამინისტრო პევრად ეფექტური იქნება. ამაყი ვარ ჩვენი საერთო მილნევებით და ჩვენი სურვილია, ეს ურთიერთობები გაღრმავდეს და უფრო

„ՀՐԱՄԱՆՈՒՄՆԵՐ”

ტრაგუიას, სახელწოდებით — „არა, ეკლესიის
დისკრედიტაციას“. ისინი, სოციალურ ქსელში
დაგეგმილი აქციის მონაწილეებს ელოდნენ. ახ-
ლო-მახლო, თავიდან მხოლოდ ადმინისტრაციის
დაცვა იყო. სამართალდამცავები არსად დამი-
ნახავს, სამაგიეროდ, მოგვიანებით გამოჩენდნენ
მაშინ, როცა გიორგი გაბედავასა და „მოპირდაპი-
რე ბანკედან“ ერთ-ერთ ახალგაზრდა მამაკაცს
შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა. თუმცა,
მხარეებს შორის დაპირისპირება, მალევე განიტ-
ვირთა და პილიციას, ინციდენტის გასანეიტრა-
ლებლად, ჩარევა არ დასჭირდა.

გაძევდავასთან შერკინებული ახალგაზრდა, უკურნალისტი აღმოჩნდა, რომელმაც გაგვიძინდა, რომ უფლებადადმცველთან მხოლოდ ამბის გასარკვევად მივიდა და პასუხად შეურაცხყოფა მიიღო. მას „შემოგზავნილი“ უწოდეს და მოსთხოვეს, დაეტოვებონა ტერიტორია, რაზეც არ დაემორჩიოს. პოლიტპატიმარი კიორები ააბიაზა „პირველ



რომ პატრიარქის კი არა, სახელმწიფო ჩინოვნიკების წინა-აღმდეგ გამოდიან, რომლებიც სეკულარული სახელმწიფოს არსებობას ეჭვიკეშ აყენებენ: „აქ მოვედი როგორც აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი. აქცია გავაუქმეთ, მაგრამ მაინც მოვედი, შემთხვევით ვინმე რომ არ მოსულიყო და გაუგებრობა არ მომხდარიყო. აქციის დაანონსების შემდეგ ჩვენს ვებგვერდზე მუქარისშემცველი არაერთი შეტყობინება შემოვიდა, მოვითხოვთ, სახელმწიფო დაიცვას სიტყვის თავისიუფლების უფლება. ჩვენ გამოვდივართ ჩინოვნიკების წინააღმდეგ, რომლებიც სეკულარული სახელმწიფოს არსებობას აყენებენ ეჭვიკეშ“

კონტრაქცია ერთ საათზე ნაკლებ დღოში დამთავრდა. სამაგიუროდ, უფრო დიდხანს გრძელდებოდა აქციის მონა-

ნილეთა შეძახილები: „მიშას ქინძებო, მოდით, სად ხართ?!”

„აჭარის მარცვლიშვილთა კავები“ გათავმი საპროტესტო აქციას იცყვას



Digitized by srujanika@gmail.com

598-47-87-14

19 დეკემბერს აჭარის დედაქალაქში საპროტესტო აქცია გაიმართება, სახელწოდებით „ქუდზე კაცი!!!“. „აჭარის მამულიშვილთა კავშირის“ თავმჯდომარე ნიაზ ბოლქვაძე ყველა ქართველს მოუწოდებს, დადგეს საქართველოს სადარაჯოზე და დაიცვას ქართველობა. როგორც ნიაზ ბოლქვაძე „ვერსიასთან აცხადებს, ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას, ვერ იცავს საკუთარი ხალხის ინტერესებს თუნდაც იმიტომ, რო „ოსმალთა ბატონობისგან აჭარის გათავისუფლების და დედასაქართველოსთან დაბრუნების მემორიალი ბათუმში განთავსება ვერ მოხერხდა, რაც მისი თქმით ქართველი ხალხისა და კერძოდ, აჭარლების სურვილ ნიაზ ბოლქვაძე საუბრობს, რომ ბათუმი თურქების ხელშია, ყოველ მეტრზე ისმის თურქული, რაც მისი აზრით, ქართული სახელმწიფო ბრიობის სივისი საფრთხეს წარმოადგენს. ნიაზ ბოლქვაძემ, მემორიალის გახსნასთან დაკავშირებით, „ვერსიასთა რამდენიმე განმარტება გააკეთა.

— ხელისუფლება ვერუზრუნველყოფს საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას, ვერ იცავს საკუთარი ხალხის ინტერესებს თუნდაც იმიტომ, რომ „ოსმალთა ბატონობისგან აჭარის გათავისუფლების და დედასაქართველოსთან დაბრუნების შეძორიალის“ ბათუმში განთავსება ვერ მოხერხდა, რაც აჭარლების დიდი სურვილია. ამ საკითხზე ბათუმის საკრებულოს ინიციატივით მივმართეთ, მაგრამ მათ უკვე 3 წელია, მონუმენტის დადგმის გადაწყვეტილება ვერ მიიღეს. დროს აჭარანურებენ.

ემუქრება თუ არა
აჭარას გათურქება
და რაცომ არ
ღგამენ ბათუმში
„ოსმალთა
ბაფონობისგან
გათავისუფლების“
მემორიალს

— ეს რაში სჭირდებათ და რატომ არ ამტკიცებს საკრებულო ამ ინიციატივას?

— იმიტომ, რომ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ნებარიშს უწევენ მეზობელი თურქეთის ინტერესებს აჭარაში. იმ ფაქტმა, რომ თურქეთის მხარეს არ მოენონება აჭარის ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლების ოფიციალურად აღნიშვნა, ყველაფერს ფარდა ახადა... ხელისუფლება ვერ იცავს ქართველი ხალხის ინტერესებს, ვერ უზრუნველყოფს აქაერთველოს ეროვნულ უსაფრთხოებას. ბათუმი და მისი ქვემოგარენი უცხოელთა გარყვნილების ცენტრად იქცა, სადაც იბილნება ჩვენი ერის ღირსება და მომავალი. ასე რომ, წინაპართა სიცოცხლის ფასად შენარჩუნებული აჭარა, ჩვენი თითქმის აღარ გვეკუთვნის. ასეთ დამოკიდებულებას თავ- მოსახურავ არ მოიხსენის!

— გასაცემის, მაგრამ მემორიალის გახსნამ მეზობელი კვეყნის უკავიყოფილება მართლა შეიძლება გამოიწვიოს?
— ამის მიზეზს ვერ ვხედავ, რადგან ნებისმიერ ქვეყანას და ნებისმიერ ქალაქს აქვს მსგავსი ტიპის მემორიალები, რაც ახვა რომელმე ქალაქისა თუ კვეყნის უკავიყოფილებას არ წოვევს. მაგალითისათვის, რუსეთი და პოტიტაბჭოთა ქვეყნებიც გამოდგება, რომლებიც 9 მაისს, ფაშისტურ გერმანიაზე კარჯების დღეს აღნიშნავენ, გერმანელები კი ამას არ

მიორგი ქალაგიძეს არჩილ გასტვირიგვილი გაცვლის

ცის განვითარების
მინისტრი
593-51-90-12

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, გიორგი
ქადაგიძეს 2016 წლის თებერვალში მმართველობის
7-ლიანი ვადა ამოვნურება. „საქართველოს ეროვნული
ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, ეროვნული
ბანკის პრეზიდენტის კანდიდატურას ქვეყნის პირველი
პირი წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად.

გიორგი ქადაგიძის გარდა, 2016 წლის დეკემბერში, ეროვნული ბანკის საბჭოს კიდევ ხუთწევრს — არჩილ მესტვირაშვილს, ოთარ ნადარაიას, ლაშა ჯულელს, ვაყა ჯანყარაშვილსა და ნიკოლოზ გონი-გლიაშვილს ენურება ვადა. რაც შეეხება ნიკოლოზ ყაველაშვილს, საქართველოს პრეზიდენტიმა, გიორგი მარგველაშვილმა, ეკონო-მიკის ექსპერტებთან შეთანხმებით, მისი კანდიდატურა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად პარლამენტს 2014 წელს ნარიდგინა.

ქვეყნის პირველი პირი ახლაც მართავს კონსულტაციებს ეკონომიკის ექსპერტებთან. სხვათ. შორის, გიორგი მარგველაშვილმა საკმაოდ კარგი პრეცედენტი დაამკვიდრა, რადგან საკანონმდებლო ორგანოს მხოლოდ ის კანდიდატურა წარუდგინა, ვინც ექსპერტებთან შეათანხმა. ვინ ჩაანაცვლებს გიორგი ქადაგიძეს? ამ საკითხზე ქვეყნის პრეზიდენტმა მსჯელობა უკვე გახსნა, თუმცა 2016 წლის თებერვლამდე ძალიან მცირე დრო რჩება და ეკონომიკის ექსპერტები ახალი კანდიდატურის შერჩევას ვერ მოასწორებენ.

„ვერსიას“ კარგად ინფორმირებულმა წყარომ განუმარტა, რომ გიორგი მარგველაშვილი ვალდებულია, საქართველოს პარლამენტს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კანდიდატურა 2016 წლის თებერვალშვერვე წარუდგინოს. იმის გამო, რომ დღო საქმაოდ მცირეა, ეკონომიკის ექსპერტები, მარგველაშვილს სავარაუდოდ, ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის, არჩილ მესტვირიშვილის კანდიდატურას შესთავაზებენ: „საქართველოს ეროვნულ ბანკს ორი ვიცე-პრეზიდენტი ჰყავს — არჩილ მესტვირიშვილი და ოთარ ნადარაია. იმის გამო, რომ ოთარ ნადარაია საბანკო ზედამხედველობის ფუნქციას ითავსებს, სავარაუდო, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს არჩილ მესტვირიშვილი დროებით ჩანაცვლებს. ეს გადაწყვეტილება ლოგიკურია, რადგან 2016 წლის თებერვალიდან დეკემბრამდე, როდესაც საბჭოს სუთნევრს და მათ შორის, მესტვირიშვილსაც მმართველობის ვადა ეწურება, მხოლოდ ათი თვეებარჩენილი. სწორედ ამ ხნის მანძილზე, ეროვნულ ბანკს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ეყოლება და ის ვიცე-პრეზიდენტი, არჩილ



მესტვირიშვილი იქნება“, — აცხადებს „ვერსიის“ წყარო.

საქართველოს ეროვნულ ბანკის პრეზიდენტის მოვალე შემსრულებელი ერთხელ უკვე ჰყავდა. 2007 წელს, როდე ქვეყნის მთავარი ბანკის პრეზიდენტმა, რომან გოცირ განცხადება დანერა და გადადგა, მაშინდელმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილმა, საქართველოს პარლამენტს ეროვნულ ბანკის დროებით მმართველად, ვიცე-პრეზიდენტის, და ამაღლობელის კანდიდატურა წარუდგინა. შესაბამისად, და ამაღლობელი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობას წლის მანძილზე, 2009 წლის თებერვლამდე ასრულებდა. ამ ოდიში წარუდგინა პარლამენტს სააკაშვილმა გიორგი ქადაგა კანდიდატურა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე, რომელიც ქვეყნის მთავარ ბანკს 2009 წლის თებერვლიდან მართ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტზე აუკითხავი 2015 წელს გაზიარებულზე ატყდა. „ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ერთ-ერთი ასაკი მკაფიო კანონია ევროპის მასშტაბით. შესაბამისად, ემის შეუძლებელია და არავითარ საკანონმდებლო მექანიზმი არ არსებობს, რომლითაც ქვეყნის მთავარი ბანკის იმპირატორული დაიწყება. ამგვარ სიმკაცრეს თავის მიზეზი აქ „ვერსიაში“ ეს მიზეზიც დეტალურად ახსნა. იმის გამო, რომ წლის ოქტომბერში, ეროვნული ბანკის ერთ-ერთმა ყოფილმა ზიდენტმა, დემურ დვალიშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროში თავი მოიკლა (ერთ-ერთი ვერსიით, მოკლეს), საერთო მისიონის სავალუტო ფონდის მისიის რეკომენდაციით, „ეროვნული ბანკის შესახებ“, ერთ-ერთი უმკაცრესი კანონი შეიქმნა.

ნაციონალური იდენტიტეტი ნინებისა რჩევის მიზან „განვითარება“?

გიგი თევზაბის რექტორობის დროს, განსხვავა ვებული აზრისა და პოლიტგემოვნების გამო არავინ იდევნებოდა, ლექტორობის უფლებებს დეკანი და რექტორი იცავდნენ, დღეს კი ვითა არება შეცვლილია. ხოლო ბოლო ერთი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით გააქტიურდა ბიზნესის სკოლის ხარისხის კონტროლის დირექტორი, ნაციონალური ზურაბ ჭიაძერაშვილი და სულაც არაა გამორიცხული, ეს გააქტიურდა 2016 წლის არჩევნებსა და უნივერსიტეტებში პოზიციების გამარჯვებასა და თვალისწინება დეს. „ვერსა“ არჩილ გამზარდიანის ესაზღრა რომელიც აქცენტს უნივერსიტეტიდან მისა ჩამოშორებული პოლიტიკურ მოტივზე აკეთებს „ყოველი სემესტრის დასაწყისში ავფორმებ კონტრაქტს, რაც უკვე 9 წლის, ანუ 17 სემესტრის აგრძელებულ ანგაზაფათ პრდაოთანა

გამზარდისა განცხადებით, გიგა ზედანია ყველა საჭიროორო
ტო განცხადებას ზურაბ ჭიაძერიშვილთან ათანხმებს, რაც ეჭვს
იწვევს, რომ გარკვეულნილად, უნივერსიტეტი განსხვავებულ
კადრებს იშორებს და წინასაარჩევნოდ, ნაციონალების პოზი-
ციას აძლიერებს. „როგორც ვიცი, რექტორი ჭიაძერა შვილთან
ერთად წყვეტს, რომელმა ლექტორმა რა საგანი წაიკითხოს.
სულ მეგონა, გონიერება გაიმარჯვებდა და მიხვდებოდნენ,
რომ აჯობებს, მათთან ვითანამშრომლო, მაგრამ, როგორც
ჩანს, თავად ასე არ ფიქრობენ. გიგი თევზაძე კადემიურ თავი-
სუფლებას ძალან უფრთხილდებოდა და მსგავსი პრობლემები
აქამდე არასოდეს შემქმნია, ალბათ იმიტომ, რომ ყველაფერს
ძველი დეკანი აგვარებდა და ეს კრონბერგი ლექტორებამდე
არ მოიღოდა. როგორც ჩანს, ურჩევნოა, ისეთი ლექტორობები
მოიწვიონ, ვინც სასწავლებელში არ დადის – ილაუზი ხმა
გაცდენებითა ცნობილი. მისი შეცვლის შემდეგ უკვე ყველა
პრობლემა შეგვეხო. შეიძლება ითქვას, უნივერსიტეტში წინა-
საარჩინო სამწავლით თანატე“.

ଦ୍ୱାରାଲଙ୍ଘନ ହେଉଥିବା କାହାର ଜାଗାରେ କାହାର ଜାଗାରେ ?
ଦ୍ୱାରାଲଙ୍ଘନ ହେଉଥିବା କାହାର ଜାଗାରେ କାହାର ଜାଗାରେ ?

ԵՐԵՎԱՆԻ ԿՐՈՆԱԿԱՐԱԳՐԱԴՐԱՄ
599-95-33-16

პიარტექნოლოგიური

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან უშვებენ.
ლექტორი, რომელიც, ამავდროულად, GDS-ზე
ანალიტიკური თოქ-შოუს, „20-30“-ის ნამყანიც იყო,
ილიაუნიში მეცნიერების შეცვლის შემდეგ იდევნება,
რასაც ბიძინა ივანიშვილთან თანამშრომლობას
უკავშირებს. „ვერსია“ შეეცადა გაერკვია, რა ხდება ილია
სახელმწიფო უნივერსიტეტში და რატომ გააქტიურდა მ
ერთ-ერთი სახე, ზურაბ ჭიათურეაშვილი ბოლო თვეებში.

5 საავტომობილო აძღვანი 2 გათ ძირითადი დახმოურებელი

თბილისის საკრებულოს ფრაგმენია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, რიმა ბერაძის 1.18-ლარიან დღიურ ნორმასთან დაკავშირებული აუიოტაჟი, რამდენიმე დღის წინ, კიევის ყოფილი მერის, ლეონიდ ჩერნოვეცკის წინასაარჩევნო დანაპირებმა 500-ლარიან პენსიისათან დაკავშირებით, სრულად გადაფარა. რიმა ბერაძე კატეგორიულად აცხადებდა, რომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის, კვების დღიურ ნორმად განსაზღვრული 1.18 ლარი, საკმარისია და მასში კალორიულობაც სრულად დაცულია. რეალურია თუ არა 1.18-ლარიანი დღიური ნორმა, ან თუნდაც 500-ლარიანი პენსია? რამდენი ლარითაა განსაზღვრული საარსებო მინიმუმი ქვეყანაში და რა დასახელების პროდუქტი შედის სასურსათო კალათში? რატომ ახსენდებათ პენსიონერები მოქმედ ან ხელისუფლებაში მოსვლის მსურველ პოლიტიკოსებს მხოლოდ წინასაარჩევნოდ?

500-ლარიანი პესია და
1.18-ლარიანი ღღური ცორება

რიმა ბერაძისეული 1.18-ლარიანი შოკიდან, ერთ კიევის ყოფილი მერის, ლეონიდ ჩერნოვეცის წინასაარჩევნო დაპირებამ გამოიყავანა. პარლამენტში არჩევის შემთხვევაში, ჩერნოვეცი პენსიის 400-500 ლარამდე გაზრდას გვპირდება. მსგავსი დაპირებები არაერთი არჩევნების წინ მოგვისმენია, მათ შორის, არჩევნებში გამარჯვებული პარტიების ლიდერებისგანაც. შევარდნაძისეული 14-ლარიანი პენსია, ნაცონალუბმი 120 ლარამდე კი გაზარდეს, სამაგიეროდ, საკუთარი დანაპირები, რომლითაც პენსია 100 აშშ დოლარის ეკვივალენტი უნდა ყოფილიყო, ველარ აასრულეს. საპენსიო დაპირება ვერც „ქართულმა ოცნებამ“ შეასრულა, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ნაცონალუბსეული 120-ლარიანი პენსია, 150 ლარამდე გაზარდა. 2015 წელს, მთავრობამ პენსიონერებს ჯერ 10 ლარი მოუმატა და პენსია 160 ლარი გახდა, ხოლო 1 ივნისიდან კიდევ 20 ლარს მოუმატებს და წინასაარჩევნოდ, 180 ლარი გახდება. თუმცა „ოცნებისეული“ დანაპირები 220-ლარიან პენსიასთან დაკავშირებით, ჯერისევ აუხდენელ ოცნებად რჩება.

როგორ აპირებს ჩერნოვეცი პენსიის 500 ლარამდე ზრდას? მას ამისთვის მარტივი ეკონომიკური რეცეპტი აქვს და აცხადებს, რომ საჭირო ფულს, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მიღებას: „რა საჭიროა ამდენი სამინისტროს შენობა? გადასახადები უნდა გაიზარდოს მდიდრებისთვის ისე, როგორც ისრაელშია. ვისაც ძვირადლირებული მანქანები ჰყავს, ფულიც უნდა გადაიხადოს“, — ასეთია ჩერნოვეცის დახაპირების ეკონომიკური განვარტება.

ქველმოქმედების მიზნით, ჩერნოვეცკი მას ქართველოში 3
მილიონ ლარზე მეტი უკეთ დახარვა. 13-14 ივნისს, თბილისში
დატრიალებული სტიქიური უპედურების შედეგად დაზარა-
ლებულთა ფონდში, სოლიდური თანხა — 110 000 ლარი ჩა-
რიცხა. ოფიციალური ინფორმაციით, აქედან 100 000 ლარი
— თბილისის მერიის დახმარების ფონდში გადარიცხა, ხოლო
10 000 ლარი — გმირთა მოედანზე, სამაშველო თპერაციის
დროს გმირულად დალუბული მაშველის ოჯახს გამოიყო.
ერთია, უკვე მოქმედი პოლიტიკოსების (ამ შემთხვევაში,
რომა ბერაძის), ან პოლიტიკაში მოსვლის მსურველთა (ჩერ-
ნოვეცკის) პოპულისტური განცხადებები და სხვა რეალო-
ბა, რასაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას
უწოდებთ. დავიანგარიშოთ, არის თუ არა რეალური რიმა-
ბერაძისეული 1.18-ლარიანი დღიური ნორმა, ან ჩერნოვეც-
კის 500-ლარიანი პენსია. ამისთვის ზუსტად უნდა ვიცოდეთ,
რა პრინციპითაა გაანგარიშებული საარსებო მინიმუმი 2015
წელს და კონკრეტულად, რა დასახელების პროდუქტი შედის
მინიმალურ სასურსათო კალათში.

საარსებო მინიმუმი, მინიმალური სასურსათო კალათის სა-
ფუძველზე დგინდება. თავის მხრივ, მინიმალური სასურსათო
კალათა, კვების პროდუქტების განსაზღვრული ნორმატიული
კალათაა, რომელიც შეიცავს შრომისუნარიანი ასაკის მამაკა-
ცის ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიანობისთვის
ფიზიოლოგიურად აუცილებელი საკვების რაოდენობას, მისი
შემადგენელი ელემენტების — ცილების, ცხომებისა და ნახ-
შირწყლების, ასევე კალიორიულობის მინიმალურ იდენტობას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,
საარსებო მინიმუმს იმ მინიმალური სასურსათო კალათის
მიხედვით ანგარიშის, რომელიც განსაზღვრულია და დად-
გენილია, „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის
ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის
განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენ-
ლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის, 2003 წლის 8 მაისის №111/6 ბრძანების
შესახებ:

„შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო
მინიმუმი 2015 წლის ოქტომბრის მონაცემებით,
163 ლარსა და 30 თეთრს შეადგენს, სამუალო
მომხმარებლის საარსებო მინიმუმი ამავე
პერიოდში — 144 ლარითა და 70 თეთრით, ხოლო
საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი — 274
ლარით განისაზღვრა. 2015 წლის ოქტომბრის
მონაცემებით კოლექტური ჯაგახის საარსებო

ნინების არაგვის მდინარე გლეხი

163-ღარიანი
საარსებო მინიმუმი
— 1.18-ღარიანი
ნაციონალისა და
500-ღარიანი
პენსიის აფერა

მინიმუმი — 144 ლარი და 70 თეთრი,
ორსულიანი ოჯახის — 231 ლარი და 50
თეთრი, სამსულიანი ოჯახის — 260 ლარი
და 40 თეთრი, ოთხსულიანი ოჯახის — 289
ლარი და 40 თეთრი, ხუთსულიანი ოჯახის
— 325 ლარი და 50 თეთრი, ხოლო ექვსსულიანი
(და მეტი) ოჯახის — 384 ლარი 80 თეთრია".



| შორისაა ცილებიც, ცხიმებიცა და ნახშირწყლებიც“.

(და მეტი) ოჯახის — 384 ლარი 80 თეთრია“.

მინიმალური სასურსათო კალათის რეკომენდებული შე-მადგენლობა შრომისუნარიანი მამაკაცისთვის, 40 დასახელების პროდუქტს შეიცავს. მათ შორისაა ხორბლის პური, ხორბლის ფექვილი, სიმინდის ფექვილი, ლობიო, ბრინჯი, ბურლული (მანანის, ნინიბურა და სხვა), მაკარონის ნანარმი, ძრობისა და ხბოს ხორცი, ღორის ხორცი, შინაური ფრინველი, ნედლი და გაყინული თევზი, ძეხვეული, რძე, მანონი, ხაჭო, ყველი, ნადული, კვერცხი, ცხოველური ცხიმი (კარაქი, ერთი), მარგარინი, მცენარეული ზეთი, თესლოვანი ხილი, კურკოვანი ხილი, სუბტროპიკული ხილი და კარალიოკი, საზამთრო, ნესვი, გოგრა, კაკალი, თხილი, მზესუმზირა, პომიდორი, ხავი, ნიორი, ბადრიჯანი, კომბოსტო, ჭარხალი, სტაფილო, კარტოფილი, შაქარი, მურაბები და ჯემები, საკონდიტრო ნანარმი, სამამულო ღვინო, მარილი, ჩაი.

ჩარევაცები — თანამედროვე „ოსტაკ განლაზი“

შესაბამება თუ არა რიმა ბერაძის 1.18-ლარიანი დღიური ნორმა, „საქსტატის“ მიერ გამოთვლილ საარსებო მინიმუმს? ეკონომიკის დოქტორმა, პროფესორმა, სოსო არჩვაძემ „ვერ-სიას“ აუხსნა, რომ 1 ლარი და 18 თეთრი, 1 600 კილოგრალორია, რომელიც ადამიანმა შეიძლება, მხოლოდ ცურიდან მიიღოს. მისი თქმით, შრომისუნარიან ადამიანს, რომელსაც ფიზიკური დატვირთვა აქვს, ამაზე გაცილებით მეტი კალორია სჭირდება: „შესაბამისად, 1 ლარი და 18 თეთრი, მხოლოდ მოხეციალე ციფრია, რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს ქვეყანაში შექმნილ რეალობასთან. მეორე მსოფლიო ომის პირობებში, „ლენინგრადის ბლოკადაში“ ხომ არ ვიმყოფებით, რომ პოლიტიკოსები ჩვენს ფიზიოლოგიურ გაძლებაზე გვესაუბრონ? ამით იმის თქმა მინდა, რომ საარსებო მინიმუმი, მინიმალურ დონეზე ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნების დაკამაყოფილებას კი არა, სოციალური ფუნქციების შესრულებასაც გულისხმობს. ცხადია, ეს თანხა, ანუ 1, 18 ლარი, აბსოლუტურად მიუღებელი და არასწორია. მართლია, მინიმალურ სასურსათო კალათში 40 დასახელების პროდუქტი შედის, მაგრამ დღიურ ნორმას კალორიულობის მიხედვით ანგარიშმობენ. ეს 40 დასახელების პროდუქტი, ერთი თვის საშუალო ნორმაა, რომელიც 30 დღეზე უნდა გაიყოს. მთავარი იდეა ისაა, რომ დროის მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ პერიოდში, ადამიანის რაციონი კვების ამ ძირითადი პროდუქტებით უნდა დაბალნისდეს, რადგან მათ ფაზაში უნდა იყენდებოდეს და საკუთარი ქონება გამოიყენოს ზუსტად ისე, როგორც თავის დროზე, ნიკო ფიროსმანმა გაყიდა მთელი ქონება, რათა საკუთარი რომანტიკული სურვილი აესრულებინა. საქართველოს პენსიონერთა 800 000-იან არმიას, პენსია 10 ლარითაც რომ მოუმატოთ, ნელინადში, დაახლოებით, 90-100 მილიონი ლარი დაგჭირდებათ. ახლა დავიანგარიშოთ, რა განსხვავებაა დღევანდელ 160-ლარიან და იმ 500-ლარიან პენსიას შორის, რასაც ვივევის ყოფილი მერი პირდება მოსახლეობას. ვფიქრობ, ერთი ჩერნოვეცი ამას არ ეყრდნობა, მაგრამ თუ ამ მხრივ, სხვა ლოგიკარქებსაც შეიამანავებს, შესაძლოა, პენსია მართლაც 500 ლარი გახდეს. რაც შეეხება პოლიტიკოსების წინასაარჩევნო დანაპირების სოციალურ ნაწილს, პენსიის მომატებაზე ყოველთვის უნდა ვიზრუნოთ, მაგრამ ამაზე მეტად მნიშვნელოვანი, პენსიონერების კეთილდღეობასა და მათი ოჯახების შრომისუნარიანი წევრების დასაქმებაზე ზრუნვა უნდა იყოს. საქართველოში ყოველი 100 ოჯახიდან, 50 ოჯახში, არცერთი შრომისუნარიანი წევრი დასაქმებული არ არის. თუ ამ ადამიანებს სამუშაოს მივცემთ და დავსაქმებთ, ამით პენსიონერთა კეთილდღეობა იმაზე მეტად გაიზრდება, ვიდრე პენსიის 20, ან 30 ლარით მომატების შემთხვევაში. ქვეყნის სოციალური პოლიტიკის სტრატეგია, სწორედ შრომისუნარიანი მოქალაქეების დასაქმება, ანუ დასაქმებულთა კონტინგენტის ზრდა უნდა იყოს“.

ვერსიანიაზ

„იურიალის 2016 წლის გეორგი კვართილიდან”



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმაშიშვილი ვარაუდობს, რომ ინფლაცია 2016 წლის მეორე კვარტლიდან მიზნობრივ მაჩვენებელს დაუბრუნდება. ამის შესახებ ქუმაშიშვილმა უურნალისტებს შესაბამის შეკითხვაზე საპასუხოდ განუცხადა. რაც შეეხება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის განცხადებას იმის შესახებ, რომ ინფლაცია პიკს მომდევნო წლის პირველ კვარტალში მიაღწევს და სამიზნე მაჩვენებელს მომავალი წლის მეორე ნახევრიდან დაუბრუნდება, ქუმაშიშვილმა აღნიშნა, რომ ის ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეთანხმება: „მინდა დავვთანხმო ეროვნული ბანკის პრეზიდენტს. 2016 წლის პირველ კვარტალში, სავარაუდოდ, ინფლაციის მაჩვენებელი ცოტა კიდევ გაიზრდება და მეორე კვარტლიდან უკვე უნდა დაუბრუნდეს მიზნობრივ მსწავნებათ.“

კონფერენციაზე გვითხოვთ, რომ უკანასკნელი წლების განვითარების მინისტრის განცხადებით, დღეს ყველაზე მეტი ინფლაცია გვაქვს სასურსაოთ მიმართულებით. ვეიქონ, ამ კუთხით დღეს არსებული ვითარება და მეზობელ ქვეყნებში არსებული მდგრამარეობა უნდა წარმოიქმნოს ჩვენს ბაზარს და ფასების სტაბილიზაცია ჩვენ საკმაოდ მაღლ უნდა ვნახოთ“.

კიოთხვაზე, რამ გამოიწვია ინფლაცია და ზოგადდად ფასების მატება, ქუმსიშვილმა აღნიშვნა, რომ ფასების მატება ყოველთვის კომპლექსურია: „ფასების მატება, როგორც წესი, ყოველთვის კომპლექსურია და ეს დამოკიდებულია მოთხოვნა-ზე და მიმდინარეობის ზოგადი და მიმართულებით“.

მიწოდებაზე. თუ მიწოდება არის იმაზე ნაკლები, ვიღრე გვაქვს მოთხოვნა, ან თუ მიწოდების ფასი არის იმაზე მეტი, ვიღრე ჩვენ გვინდა, ამ შემთხვევაში გვაქვს ინფლაცია“.

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2015 წლის ნოემბრის თვის ინფლაციის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომ-ლის თანახმად 2015 წლის ნოემბერში საქართველოში ინფლაციის დონემ 6,3%-ს მიაღწია, ხოლო ეროვნული ბანკის მიერ თავი ენიჭო წილით მიზნობრივი ენთოლასას მაჩვენებელი 5%-ს შეავარება.

**საქართველოში ყოველწლიურად ავტოსებინი
სიმძინის დაცლობით 8000 ჯერსევება ფიქსირდება**

კიბოს ნეგისცრით
ონკოდაავადებულთა ბუსფი
ნაოდენობის დათვლას და
სწორ მკურნალობას შეძლებენ

Digitized by srujanika@gmail.com

555-27-95-13

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ჯანდაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით და კლინიკური ონკოლოგიის საზოგადოების ორგანიზებით კიბოს კონტროლისა და სკრინინგის მე-4 საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. გაიმართა, რომ კიბო დღემდე შედის სიკვდილის რისკჯენერაციის დაავადების ტრაქ-ათეულში. კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის მერიის, დაავადებათა კონტროლის ცენტრისა და უნივერსალური სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელი პირები. ღონისძიებამ გაამართლა საერთაშორისო სტატუსი, რადგანაც მასში, ქართველი სპეციალისტების გარდა, მონანილეობდნენ ცნობილი ონკოლოგები ირლანდიდან, შვედეთიდან, რუსეთიდან, ყაზახეთიდან, სომხეთიდან, თურქეთიდან და ირანიდან.



**ონკოლოგები მოსახლეობას სურინინგზე
მისვლის სკონის მოუწოდებენ**

კონფერენციაზე ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა განიხილეს მათ ქვეწებში კიბოს კონტროლის და სკრინინგის მიმართულებით არსებული მიღწევები და პრობლემური საკითხები. მონაცილეებს მიეწოდათ ინფორმაცია კიბოს სკრინინგის უახლესი ტესტების გამოყენების, ასევე კიბოს კონტროლის ეროვნული სტრატეგიის შესახებ. ტრადიციულად შეჯამდა კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოების 2015 წლის საქმიანობა.

„ეს კონფერენცია სახელმწიფო ბრივი მნიშვნელობისაა, რადგან საუბარი იყო კიბოს კონტროლის ეროვნულ სტრატეგიაზეც. ლონისიძება საშუალებას მისცემს ჩვენს ექიმებს, დაამყარონ ახალი კავშირები, გაუზიარონ ერთმანეთის შთაბეჭდილებები, გამოცდილება და ცოდნა. კლინიკური ონ-

კოლოგის ძირითადი მიზანი – სიცოცხლისითვის ბრძოლა, შემართებას და თავდადებას საჭიროებს. მჯერა, დროული პრევენციისა და მკურნალობის შემთხვევაში, სამედიცინო საზოგადოება წარმატება მიაღწევს“, – განაცხად სამედი-

ცინო უნივერსიტეტის რექტორმა ზურაბ ვადაჭკორიამ. უნივერსალური სამედიცინო ცენტრის დირექტორი მამუკა მახათაძე, ერთ-ერთი პირველი მომსახურებელი იყო: „საქართველოში, კიბოს მართვის კუთხით, დიდი პრობლემაა. ჩვენთან ადამიანები მოდინ მაშინ, როცა უკვე მძიმე სტადია. წარმატებისა და ბევრი ახალი პრეპარატის მიუხედავად, კველაზე დიდ წარმატებას მაშინ მივაღწევთ, როცა ამ დაავადებას ადრეულ სტადიაზე აღმოვაჩენთ. დაგვიანების შემთხვევაში, ხშირად, ყველაზე ძირიფასს, ადამიანის სიცოცხლეს ვკრგავთ“.

აქცენტი გაკეთდა პოზიტიურ მაჩვენებელზეც და აღინიშნა, რომ გახშირდა, სკრინინგის მეშვეობით პირველ და მეორე სტადიაზე შედეგიანი მკურნალობის შემთხვევები. „ამიტომ, მოვუწნოდებთ ყველას, სკრინინგზე მოვიდეს“, — აცხადებენ ონკოლოგები.

სამეცნიერო უნივერსიტეტის ონკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი რემა ლვაგიშიავა კონფერენციის მოღერატორი გახლდათ. ბატონი რემა სტატისტიკაზე გვესაუბრა, „ვერსიის“ კითხვას კი, რა შედეგი მოიტანა სკრინინგმა, ამგვარად უპასუხა: „სახელმწიფო აფინანსებს სკრინინგის ეროვნულ პროგრამას, რომლის გარეშეც ვერაფერს გავხდებოდთ. ამ პროგრამის შედეგად, ძუძუს კიბოს შემთხვევების აბსოლუტური უმრავლესობის გამოვლენა ხდება ადრეულ სტადიაზე, როცა მკურნალობის ეფექტურობა არის მაქსიმალური, მკურნალობის დანახარჯები – მინიმალური. გარდა ამისა, ძუძუს სრული მოკვეთა აუცილებელი აღარ არის. ქალბატონების უმრავლესობა ოჯახს ბუნებრივი სილამაზით უბრუნდება. შემთხვევების მატება აღინიშნება ყველგან, მათ შორის, საქართველოშიც. მატების მაჩვენებელი არაა დრამატული. ჩვენი სტატისტიკით, ყოველწლიურად ავთვისებიანი სიმსივნის 8000 შემთხვევა ფიქსირდება, მაგრამ ეს არ არის ზუსტი ციფრი. სიბაზე — კიბოს რეგისტრი, ზუსტი ციფრის გამოთვლის საშუალებას მოგვცემს“.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე ეკა ქათარაძემ „ვერსაის“ განუცხადა: „დღეს კიბო ერთ-ერთი მთავარი „ქილერია“. მსოფლიოში, წლიურად 14 მილიონი ახალი შემთხვევაა. მთავარ გმილიონზე მეტი ფატალურად მთავრდება. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, სიკედილის და ასევე ახალი შემთხვევების რაოდენობა, უახლოესი ორი დეკადის განმავლობაში 70%-ით გაიზრდება, რაც ნიშნავს, რომ კიბო გლობალური გამოწვევაა. წელს ჩვენი უდიდესი მიღწევა ისაა, რომ დაინერგა კიბოს რეგისტრი, რაც გულისხმობს კიბოს ყველა შემთხვევის აღნუსხვა-გაანალიზებას. 2014 წლამდე არსებულ მონაცემებში ხარვეზებია, რადგან მასში არ ჩანს საქართველოს შემთხვევების თავისებურება. ეს კი იმისთვისა საჭირო, გავიგოთ, სად იყო დაშვებული შეცდომა. რეგისტრი ნინგადადადგმული ნაბიჯია, რათა მოხდეს სწორი მკურნალობა. გვაქვს ოთხი სახის უფასო სკრინინგი – ძუძუს, საძვილობრივის ყელის, სწორი ნაწლავის კიბო და პროსტატა.

25 წლის ზემოთ ქალებს მოვაწნოდებ, ჩაიტარონ საშვილოსნოს ყელის, 40 წლიდან კი, ძუძუს კიბოს სკრინინგი. გვაქვს კიდევ ერთი სიახლე — შესაძლოა დაინერგოს ახალი მეოთხი, რომელიც ქალბატონებს საშუალებას მისცემს ნაცხი ბინის პირობებში აიღონ, რადგან მოსვლა ხშირად ბარიერს წარმოადგენს. შედეგს კი, ექიმთან წარადგენენ“.

ამ ახალ იდეას სამთავრობო დონეზე იანვარში განიხილავენ. თუ მის უპირატესობაზე შეჯვერდნენ, მეზობელი ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, საცდელ დონეზე საქართველო-
ურ ეროვნულ კონფედერაცია და საქართველოს მთავრობა მოვაწნოდებ, მაგრამ ამ დონეზე გვაქვს კიდევ ერთი სიახლე — შესაძლოა დაინერგოს ახალი მეოთხი, რომელიც ქალბატონებს საშუალებას მისცემს ნაცხი ბინის პირობებში აიღონ, რადგან მოსვლა ხშირად ბარიერს წარმოადგენს. შედეგს კი, ექიმთან წარადგენენ“.

შიც დანერგავენ.
უცხოელი ექიმების რეკომენდაციაა, მედიის და ოჯახის ექიმების მხრიდან საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირებულობის საჭიროების გადასაცემი.

ბა სკრინინგის მნიშვნელობასთან დაკავშირებით.
წელს „ქალთა კლუბმა“ რეგიონული ნარმომადგენლობები დააპარსა ლანჩჩუთსა და ოლავში. ქალბატონები, პირად მაგალითზე აჩვენებენ, რომ კიბოს დიაგნოზით ცხოვრება არ მთავრდება. სკრინინგცენტრის მენეჯერი და „ქალთა კლუბის“ დამფუძნებელი თინა ბერუბაშვილი გვიამბობს: „დღესაც, განსაკუთრებით რეგიონებში, არსებობს შიში, რომ ძუძუს კიბო არის განაჩენი. სკრინინგცენტრმა შეგვინყო ხელი, შეგვექმნა კლუბი, სადაც ამ დიაგნოზის მქონე ქალბატონები, საზოგადოებას თავის მაგალითს აჩვენებენ. მოვძებნეთ ქალები, რომლებმაც დაძლიერ კიბო. დღეს ბევრი მათგანი სოციალურად აზიურია“.

გენეტლიკა

„ელექტრონული გამოცდასი კბილური ცნობის ღარების დაზურებას“

გოგადი უნარების
ჯგუფის ხელმძღვანელი
ბრალებებს პასუხობს

 കേരള തിരുത്താജ്ഞാനിക
598-47-87-14

2016 წლიდან ეროვნული გამოცდები ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით ჩატარდება, 2017 წლიდან კი მთლიანად ელექტრონულ ფორმატზე გადავა. ამ სიახლემ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა უკვე გამოიწვია. აპიტურიენტთა ნაწილისთვის გამოცდების ელექტრონული ვერსიით ჩაბარება მიუღებელია.



ნიზაცია „საქართველოს განათლების ლიგის“ თავმჯდომარესა, მანანა ნიკოლაიშვილს ესაუბრა. მისი განმარტებით, ელექტრო-ნულ ფორმატში ჩატარებული გამოცდები აუცილებლად უარყოფით შედეგებს გამოიღებს. ქალბატონი მანანა მიიჩნევს, რომ აბიტურიენტებს ახალი ფორმატი ძალიან გაუზრულებს სამუშაო პროცესს და მანა შესაძლოა წარმატებულ ბავშვებსაც კი დაკლოს ქულები: „არ არის აუცილებელი, ეროვნული გამოცდები კომპიუტერით ბარდებოდეს, ეს მთოლოდ საქართველოს გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილებაა. გამოცდების ასე ჩაბარება გარკვეულ დროსა და ფულს კი დაზოგავს, მაგრამ ვფიქრობ, ეს აბიტურიენტებს დააზარალებს — მათ გაუძნელდებათ ისეთი სამუშაოს შესრულება, როგორიცაა თუნდაც უცხოენის მოსმენა, პარალელურად დეკრანზე ყურება და ფურცელზე შენიშვნების მონიშვნა. ეს საზიანო იქნება აპლიკანტისთვის, რომელსაც აქვს მხედველობის პრობლემა, ან არ შეუძლია კომპიუტერთან დიდხანს ჯდომა. გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორიც — კომპიუტერები საგამოცდო ოთახებში თუ აუდიტორიებში რამდენიმე მეტრის რადიუსით უნდა იყოს დაშორებული, რადგან ერთ ოთახში ბევრი კომპიუტერის თავმოყრა სამედიცინო თვალსაზრისით არ შეიძლება. ალბათ, ამში ჯანდაცვის სამინისტროც უნდა ჩაერთოს. ვფიქრობ, ელექტრონული ფორმატით ჩატარებული გამოცდები უარყოფით შედეგებს გამოიღებს“.



 სოფ. ლურსახნაშვილი
593-51-52-04

593-51-52-04

„დედა რუსი მყავს, მამა ეპრაელი, მე უკრაინელი ვარ“, — ამ ფრაზის ავტორი, კიევის ყოფილი მერი ლეონიდ ჩერნოვეცი ქართულ პოლიტიკაში მოსვლას გეგმავს და ამ მიზნით, უკვე დააფუძნა პარტია „ბედნიერი საქართველო“. ჩერნოვეცი მეხუთე წელია ქობულეთში ცხოვრობს. გავრცელებული ინფორმაციით, 2011 წლამდე ინტერპოლი ეძებდა, თუმცა 2014 წელს ძებნილთა სიიდან ამოიღეს. უკრაინელი უურნალისტების მტკიცებით, მან საცხოვრებლად საქართველო იმიტომ აირჩია, რომ უკრაინასთან ექსტრადიციაზე ხელშეკრულება არ გვაქვს.

Facebook-ის გვერდზე, ჩერნოვეცკი წერს, რომ მისი პარტია შეარს დაუქერს საქართველოში ევროპულ ღირებულებებს და არ გაატარებს რუსულ ინტერესებს. „არ ვეძრდვი ახლანდელ ხელი-სუფლებას, მაგრამ პარლამენტის გავაკრიტიკებ. საქართველოს პარლამენტი არ მუშაობს“, — აცხადებს კიევის ყოფილი მერი და დასტენს, რომ პარტიაში უკრაინიდან არავის მიიჩნევს, მხოლოდ ესპერტების დახმრიებას შეიძლება დათანხმდეს. საერთა-შორისო პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ არაა გამორიცხული, ამ ესპერტებს შორის სააკადემიურო და მისი გუნდის უკრაინაში გადაბარგებული წევრებიც მოიაზრებოდეს. მათ ხომ, ყველაზე უკეთ იციან, ქართული პოლიტიკის პიარტენიოლოგიები და ისიც, რომელ შეიძლება საქართველოს მოქალაქეებს „დაბოლობა“.

ოორი იეკოლება და საქართველოს მოქალაქეების „დაოლოება“
ჩერნოვეცების და იორბეა — პენისის 400-100-ლარამდე გაზ-
რდაც, ალბათ ამ „დაბოლების“ ნანილია ისევე, როგორც ზოგა-
დად, მისი ბოლოდროინდელი განცხადებები. მაგალითად, ისეთი,
როგორიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის
ყოფილ მოადგილესთან დაკავშირებით გაკეთა — ჩერნოვეცები,
150-ათასლარიან ჯილდოს აწესებს იმ ადამიანისთვის, ვინც ჩა-
მოიყვანს და პოლიციას ჩააბარებს მეგის ქარდავას.

რეალურად რა მიზანი ამოძრავებს, დედით რუს, მამით ებრაელ, უკრანელ ჩერნოვეცების საქართველოში? რატომ გადაწყვიტა, რომ ჩვენს ქვეყანას მხსნელად უნდა მოევლინოს? რატომ გააქტიურდა მანცცადამაინც ახლა და რატომ მოუნდა ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრება? ამ კითხვებზე პასუხის ქებნისას, ლოგიურმა ჯაჭვმა ისევ უკრაინაში შეიძლება ამოგვაყოფინოს თავი. უფრო კონკრეტულად კი, ოდესაში, სადაც მიხეილ სააკაშვილია „დაბანაკებული“. შესაძლებლია, ჩერნოვეცის გააქტიურების უკან სწორედ სააკაშვილი დგას და მისგან დავალებული კოვეის მერი, დღეს გაქცეულ, მოქალაქეობაჩამირთმეულ ექსპრეზიდენტს, მშობლიურ პოლიტიკაში დასაბრუნებლად წიადაგს უმზადებს. ამ ვერსიას არსებობს უფლება ნამდვილად აქეს, მითუფრო, რომ ჩერნოვეცი-სააკაშვილს დიდი ხნის მეგობრობა აკაშშირებს — 2008 წელს, ის ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც სააკაშილს ვადამდელ არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. 2009 წლის ნოემბერში, როცა სააკაშვილი ჩატრინდა კიევში ოფიციალური გზით, ჩერნოვეცი პირადად დახვდა „ბორისბოლში“. ქობულეთში მინაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა აყიდინა და საქართველოში დასამკვიდრებლად მწვანე შუქი სწორედ მან აუზოო.

თამაშობს თუ არა „ლინია-კოსმილის“ სააკაშვილის თამაშს, მომავალი გვიჩვენებს. ისიც მომავალში გამოჩნდება, რა შანსი აქვს მის „ტერიტორიულობის“. „მეყოთხებიან, რატომ ჩამოვალობები პარტია, იმიტომ, რომ საქართველოში არსებულ პარტიებს ძალიან სუსტი პოზიციები აქვთ“, — ამბობს ჩერნოვეცეკი და იმასაც ამტკიცებს, საქართველოს შეცვლა გაცილებით მარტივია, ვიდრე უკრაინის, რადგან აქ გარკვეული რეფორმები გატარებულია. არადა, ქართული პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, ნაკლებსავარაუდო, ჩერნოვეცეკის, იავარდით მოფენილ პოლიტიკურ გზაზე მოუწიოს სიარული. მით უმეტეს ახლა, როცა პოლიტიკურ ველზე ბიძინა ივანიშვილიც სივე რჩება თავისი მილიონებით და პატა ბურჭულაძეც შემოდის ერთ-ერთ მთავარ მოთამაშედ. მაგრამ, რადგან ქრთიმი ჯოჯოხეთს ანთებს, თუ ჩერნოვეცეკი და მას უკან სავარაუდო მდგრინი სააკაშვილი, ნინასარჩევნო კაპძენის ადიდ ფულს ჩადებენ, ორი კურდღლის დაჭრებული შეიძლება მოახერხონ — დაპირებების თამასა ასწონდა საარჩევნო კამპანიის ეშმში შესულ „ოცნებელები“ თუ სხვა საარჩევნო სუბიექტები აიძულონ, ირეალური დაპირებები გასცემ, შემდეგ კი, მუდმივად წამოაძახონ, ვერ აუსრულეთ ხალხს, რასაც დაპირდითო. და მეორე — საარჩევნო სუბიექტებს სმები წაართვან და პარლამენტში, რამდენიმე კაცი შეიყვანონ. ეს კი, საქართველოდან „ოცნების“ მიერ ამოძირებული სააკაშვილისთვის, პოლიტიკაში დასაბრუნებლად, ტრამპლინად შეიძლება იქცეს. ასეა თუ ისე, ჯერი ახლაც ამომრჩეველზეა. მათი გადასაწყვეტია, გაულებრ თუ არა ქრისტული პოლიტიკისა და პარლამენტის, კარს ჩერნოვეცეკის, რომელიც, სხვათა შორის,

ლაონიდ ჩარბოვანეკის სკულპტური გეგრაციი

ვინ არის „ღონია-ვოსმოხი“, რა მიზნით მოგის ქართულ პოლიციკაში, რა კავშირი აქვს მიხეილ სააკამპილთან, არის თუ არა სექცანტი და რაფოდ უნოდებენ მას „გიჟს“

სახარბიელო შეგრაუნდითაც არ გამოირჩევა და რომელის სახელ-
საც არაერთი სკანდალიც უკავშირდება. რადგან, ქობულეთში
გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე, „ვერსია“ არავის
მიუწვევია, ჩვენი ეჭვები და კითხვები, ამგვარად დავაფიქსირეთ და
ინტერნეტსივრცეში, „ლონია-კოსმოსად“ წოდებული ჩერნოვეცეს
შესახებ საინტერესო ინფორმაციაც მოვიძიეთ.

გაფრენის აუზებენელი სურვილის გამო შეარქევეს. თუმცა, არსებობს მეორე ვერსიაც, რომელსაც, ინტერნეტ-სივრცეში აქტივურად განიხილავთ — როგორც ირკვევა, ნარკომანების „ენაზე“ „კოსმონავტი“ ნიშანას ადამიანს, რომელსაც დისოციაციური დარღვევები აქვს, რეალობასაა მოწყვეტილი და სლენგით რომ ვთქვათ, „ასტრალშია გასული“. ამბობენ, ჩერნოვეცეის „ნათლი-ებმა“ მეტსახელი, მაგნეტვევების — ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულების გამო შეურჩისო. ეს ბრალდება, „ლონია-კოსმოსს“ არაერთხელ ნაუყინეს. მეტიც, 1998 წელს, უკრაინის უშისროების შეფარვა, ლეონიდ დერკაჩმა მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ნარკოტიკებითა და იარაღის ვაჭრობის ბრალდებითაც კი აღძრა (რომელიც მაღლე დაიხურა), მის ნარკოშემოწმებასაც, პერიოდულად, არაერთი პოლიტიკოსი ითხოვდა, მაგრამ თავად ჩერნოვეცეი, ბრალდებებს ყველა ჯერზე, კატეგორიულად უარყოფდა, ზოგჯერ თავს მუშტი-ერივითაც იცავდა. ასე მოიტკა, მაგალითად, უკრაინის შინგანან საქმეთა მინისტრ იური ლუცენკოსთან — როცა ამ უკანასკნელმა ნარკოტიკების მოხმარებაში დაადანაშაულა, ადრესატმა ხელჩართული ჩხუბი გაუმართა და საპისუხოდ, ლოთიც ეძახა.

ჩერნოვეცის დაუძინებელი მტერია კიევის ამჟამინდელ მერი ვიტალი კლიჩიო, რომლის გამოც, როგორც ამბობს ენე, „ლონია-კოსმოსი“ უკრაინაში ჩასვლას ერიდება. სხვათაშორის, კლიჩიომ, 2008 წელს მას მინების უკანონო გასხვისებაში დასდო ბრალი, 2009 წელს სასამართლოშიც უჩივლა (კილისნამებისთვის, 2011 წელს კი, 70 მილიარდის მითვისებაში დაადანაშაულა. კლიჩიოს განცხადებით, სწორედ ჩერნოვეციმ გაასხვისა ბანკები „კეს-ჩატიკი“ და „კიევ ენერგო პოლიტინგი“ კაპიტალიდ.

ჩერნოვიცკის სახელს უკავშირდება, მსხვერპლით დამთავრებული, 2003 წელს მომხდარი ორი აგტოსაგზაო შემთხვევა, რომელთა დროს, 11 ნლის მაქსიმუმ პროკოპშუკის და 20 ნლის ქვეითად მოსიღარულებ მოქალაქე გარდიცვალნენ. ამ აგრძიებს თავად წირწოვას ა მოწილეობითს უწოდებს.

2007 წელს უკარისინის რადის ნერგები ჩერნოვეცის თაღლი-თური ჯგუფის „ელიტა ცენტრის“ მფარველობასა და მათი საქმის გამოძიების განზრახ შეფერხებაში ადანაშაულებდნენ, 2008 წელს კი, უკარისინის მინისტრთა კაბინეტმა მას მიწების არალეგალურად გაყიდვაში დასდო ბრალი. მეტიც, მთავრობამ, განცხადებით მი-მართა უკარისინის პრეზიდენტს, ჩერნოვეცკის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. იუმენენომ მეორე დღესვე, გადაუყენა მერი თანამდებობიდან. ოუმცა, 4 დღეში გამოძიების დასრულებამდე პრეზიდენტმა წება დართო, ხელახლა აერჩიათ იგი. 2008 წლის 25 მაისს რიგგარეშე არჩევნებზე ქალაქის მერი ჩერნოვეცი გახდა.

2009 წლის 13 მარტს უკრაინის უმაღლესი რადის საგამომინებლივ კომისიამ ოფიციალურად მიმართა ჯანდაცვის სამინისტროს, ჩერნოვეცის ფსიქიატრიულ ექსპერტიზის შესახებ. ამის საპასუხოდ ჩერნოვეციკი სრულად უკრაინის მედიის წინაშე, საცურაო კოსტიუმის ამარა ჯერ საკუთარი ჯანმრთელობის დემონსტრირება მოაწყო, ხოლო შემდეგ, იგივე ფორმაში, პრესკონფერენცია გამართა. პარალელურად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ექიმებმა სხვადასხვა ფსიქიატრი დარღვევა დაუდგინეს, რის გამოც, ჩერნოვეცის, თეთრხალათიანთა მიმართ ზიზღი გაუჩნდა, მათ დანახვაზე არაადეკვატური ხდებოდა. ასე მოიქცა ექიმთა კავშირის უფროს, ლარისა კანაროვსკასთან შეხვედრისასაც. როცა ქალბატონი მას ქალაქის კლინიკებში არსებულ პრობლემებზე სასაუბროდ შეხვდა, მერმა მოულოდნელად, მისი ლანძღვა დაიწყო. „მან ფულის გამტაცებელი მგლები, ქურდება და ბანდიტები გვეძახა. ალბათ იმიტომ, რომ მას დავუდგინეთ გარკვეული მენტალური დაავადებები“, — იხსენებდა კანაროვსკა, რომელმაც მოვისანებით, ხალხმრავალი საპროტესტო აქციებიც მოაწყო, მერის გადადგომის მოთხოვნით.

მერის გადადგომის მოთხოვნით მაშინაც გამოვიდნენ, როცა ჩერნოვეცეკი „საპასპორტო სკანდალში“ გაეხვია — 2011 წელს, ერთ-ერთ ეპრაულ საიტზე გვარცელდა ინფორმაცია რომ მას და მის მეუღლეს, 1994 წლიდან ისრაელის მოქალაქეობა ჰქონდათ. მერის ორმაგი მოქალაქეობის შესახებ ინფორმაცია, მაშინ კიევ-ლებისთვის შოკისმოგვრელი აღმოჩნდა. შოკში თავად ჩერნოვეც-კიც იყო — ამტკიცებდა, მოქალაქეობა არ მაქვს და ყოველთვის, როცა წმინდა მინაზე მივდივარ, ვიზას ჩერნოულებრივ ვიღებო. სამაგიეროდ, მედიაში უკვე იმაზე ძალის მიზნით მომდევნობა მხოლოდ მერის ოჯახის წევრს შეეძლო გაესაჯარობინა. თითს კი, მისი ყოფილი სიძის კენის გამოვიდნენ, რომელიც იმ ცერიონულში ძებნაში

იყო და ჩერნოვეცუს ქალიშვილსაც დიდი სკანდალით გამორდა. ბრიტანულ „პედოფილის სკანდალში“ ჩერნოვეცუ მაშინ გაეხვია, როცა კიევს მართავდა. The Daily Mirror-მა სტატია დაბეჭდა, სადაც ეწერა, რომ პედოფილებს, სიცრუის დეტექტორზე შეამონებდნენ. ჩერნოვეცუ ნახსენები არსად იყო, სამაგიეროდ, სტატიისთვის თანდართულ ფოტოზე, მარტივი იყო კიევის მერის ამოცნობა, მიუხედავად იმისა, რომ თვალები დაფარული ჰქონდა. როგორც გაირკვა, ბრიტანული გამოცემის რედაქტორმა სტატიისთვის შესაფერისი ფოტო ინტერნეტში მოძებნა და არც დაკვირვებია, რომ მამაკაცი, რომელსაც კადრში სიცრუის დეტექტორზე ამონებდნენ, კიევის მერი გახლდათ. ეს ფოტო, ჩერნოვეცუიმ 2006 წელს, წნიასარჩევნოდ გადაიღო, როცა ამბობდა, ქვეშვროვების თანამდებობის შეამონება

როდიტებს და დეპეჩტორზე ძეგვაშობნებით.
სკანდალურობას სავას ლეონიძი ჩერნოვეცის პირადი ცხოვ-
რებაც, ამბობდნენ, რომ პერიოდულად, ცოლს, ალინა ავაზოვას,
ასალგაზრდა ქალბატონებთან დალატობდა. ჩერნოვეცი-აივა-
ზოვა ერთიანების 2011 წელს გაშორდნენ. არასრულ 1 წელში კი,
„ლონია-კოსმოსმა“ ელენა სავჩუქე იქრნინა, რომელთანაც
მანამდევ ჰქონდა, როგორც თავად ამბობს, „რომანტიკული
ურთიერთობები“ და რომელმაც იგი, 62 წლის ასაკში, მამობის
ღირსი მესამედ გახადა, როცა პატარა გაბრიელი შეეძინათ. აი-
ვაზოვასთან კი, ჩერნოვეცის 2 შვილი — სტეფანი და კრისტინა
ჰყავს. თუმცა, მერის სკანდალური პირადი ცხოვრება, რიგით კიე-
ველებს, ყოველთვის ნაკლებად აინტერესებით. ალბათ იმიტომ,
რომ სხვა მხრივაც, „კულურარული ჭორების“ მოყვარულებს, მერი
მოწყინის საშუალებას არასდროს აძლევდა.

კომპიუტერული და სკანირები

ლუონიდ ჩერნოვეცის ერთ-ერთ „კომპრომატად“ მის მეტსახელსაც კი მოიხსენიებენ. „ლონია-კოსმოსი“, ერთი შეხედვით, ამ სახელში საეჭვო არაფერია. მითუმეტეს, როცა ამბობენ, რომ „კოსმოსი“ მას, თავის საყვარელ კატასთან ერთად, კოსმოსში

ველებს, ყოველთვის ნაცლებად აინტერესებიდათ. ალბათ იმიტომ, რომ სხვა მხრივაც, კულტურული ჭრების „მოყვარულებს, მერი მოწყენის საშუალებას არასდროს აძლევდა.

დასასრული მე-10 გვერდზე



მე-9 გვერდიდან

პიზენესი უფლის სახელით

„მივედი კელესიაში და განვიცადე სიხარული! მივხედი, რომ
რწმენა — ეს სერიოზულია! და როცა მღვდელმა სანდეგი ჩემთვის
იღოცა, მე ის მთელი გულით შევიცვარე, ზუსტად ისახ, როგორც დღეს
მიყვარს ყველა ადამიანი. მას შემდეგ, მტრები ალარ მუავს. სასანაუ-
ლია!“ — ასე „მოექცა“ ლეონიდ ჩერნოვეცის „უფლის საელჩრიში“.
ეს 1996 წელს მოხდა, როცა „ლონია-კოსტოსმა“ გაიცნორ რელიგიური
ორგანიზაცია „დმტრითის საელჩოს“ „ელჩი“ სანდეგი ადელაჯა, რომე-
ლიც მისა მთავარი მოკავშირე და სულიერი მწერებსა გახდა.

სანდეგი ადელაჯა უკრაინაში 1993 წელს ჩავიდა. ის მდიდარ

ადგინიანებს ექტრდა თავისი ბიზნესპროექტის განსახორციელებლად. ალბათ არავინ მიაკერვდა ყურადღებას ჩერნოვეცის მრნამს, რომ არა მეტოდება, რომლებითაც ის პოლიტიკაში მოვიდა და რომ არა მისი და ადელაჯანა ქველმოქმედების სქემა.

ჩერხოვეცებიძ და ადელაჯაძ ერთბაშეთი ხასდგილად დახეირეს. ადელაჯაძმ, „უფლის სახელითა“ და ბანკირის ფულით რეგისტრი ბიზნესი აიწყო, ჩერნოვეცები კი, როგორც ამბობენ, სწორედ სექტანტებმა მოიყვანეს პოლიტიკაში. დღეს ამ სექტას დიდი შემოსავალი აქვს. „რელიგიური ტანდემის“ თაღლითური და ტყუილზე დაფუძნებული საქმიანობის გამოსააშკარავებლად კი, ინტერნეტშისაიტებზე ერთი მაგალითი მოყვავთ: 1999 წლის ბოლოს, ბანკირს ხელში ჩაუვარდა ზეთის ცისტერნა. არჩევნების უკვე ჩატარებული იყო. ზეთს ხელში მოსაპოვებლად ვერ გამოიყენებდნენ და ამიტომ, სხვა ფორმა მოძებნეს — ზეთი პატარ-პატარა ჭურჭლებში გადაანაზილეს, ზედ კი ეტიკეტი გაუკეთეს — „საეკლესიო ზეთი“. გამოიყენება სხვადასხვა დაავადებებისა და ავი თვალის წინააღმდეგ. ცხადია, „საეკლესიო ზეთის“ ფასი, ჩვეულებრივი, ზეთისუნის ზეთის ფასს ძევრად აღმატებოდა. მი-

ଭାବିତାରେ



ლეონიდ ჩარხმავევქის სკანდალი ბაზრების

უხედვად ამისა, მომხმარებელი ბევრი ჰყავდა — მრევლი იმდენს ყიდულობდა, მთელ ტანზე ეცხოთ რწმენით, რომ დაავადებებსაც დაძლევდნენ და ავი თვალიც ვერას დააკლებდა. სანაც მორჩმუნები კაპიქს კაპიქზე ანგებდნენ ზეთის საყიდლად, „მწყემსა“ და „ლონია-კოსმოს“ მოგებას ითვლიდნენ და ვინ იცის, იცინოდნენ კიდეც, კიეველების მიამიტობაზე.

რუსული პრესის ინფორმაციით, ჩერნოვეცისა და მის აფ-
რიკელ მეგობარს, მორნმუნების გაყვლების სსვა მეოთხებიც
ჰქონდათ. ისინა მრევლს სთხოვდნენ, კრედიტი აეღო, უზრუნ-
ველყოფა და საკუთარი ქონება ჩაეღოთ და ფული, „სასულიერო
ცენტრის“ მშენებლიბისთვის გაეღოთ. ქონების გაყიდვა ჩერ-
ნოვეციმ მორნმუნებისგან 2002 წელს, ნინასაარჩევნოდაც
მოითხოვა. ოღონდ, ამჯერად, მან მრევლს პირდაპირ განუცხადა,
რომ ბინები და ქონება უმაღლეს რადაში საჭირო კანდიდატე-
ბის გასაყვანად უნდა გაეყიდათ. მისი მტკიცებით, ვინც ფულს
გაიღებდა, სანაცვლოდ, არჩევნების შემდეგ, დეპუტატებისგან
კომფორტულ ბინებს მიღებდნენ.

რელიგიურ და საკველმოქმედო საქმიანობაში ჩართული იყო მისი შეულეულ აივაზოვაც. წყვილმა ერთად დამდენიმე „საუფლო“ პოსტულატიც შეიმუშავა, სადაც ეწერა: „თუ ადამიანი მდიდარია (ისე, როგორც ჩერნოვცები და მისი (კოლი), ე. ი. ის, „ნახევრად ღმერთია“, ე.ი. ასე სურს ღმერთს და ამიტომ ისინი, სხვებზე მაღლა დგანან“. და კიდევ — „ბანკის თანამშრომელი უაპელაციონ უნდა დაემორჩილოს ხელმძღვანელობას, რადგან, „ასე სურს ღმერთს“; „სამუშაოდა ეკლესიაში მსახურება უნდა იყოს პირველ ადგილზე, პირადი პრიბლებიში არ არსებობს“.

ადელაჯას ცრუმასნავლებელს ეძახდნენ. უკრაინის ეკლესია „უფლის საელჩოს“ გაემიჯნა. ადელაჯას უკრაინიდან განდევნის საკითხი კი რამდენჯერმე დადგა დღის წესიგში. ამ ორგანიზაციის ერთ-ერთმა ყოფილმა წევრმა ვლადიმერ უკოტანსკიმ კი, „უფლის საელჩო“ ფინანსურ ინირმიდად დასახელა, რომელმაც ბერ ადამიანს შეუქმნა ფსექიური პრობლემები.

ჩერნოვეცი და ადელაჯა ერთად „სამართლებრივ სკანდალში“

የኢትዮጵያውያንድ የሚመለከት ስምምነት እና በአገልግሎት የሚያስፈልግ ይችላል፡፡

გაეხვივხებ. კიევის მილიციად გამოიძება დაიხუყ. პროკურატურამ კი საქმე „ადამიანის გატაცების“ მუხლით აღდრა, მოქალაქე ალა ფროლოვას სარჩელის საფუძველზე. ჩერნოვეცის ყოფილი დამადგენერალი მოსარჩევე ქალბატონი ეჭიბიძა, რომ მისი ქმრის, ბაზნესმენ სტუპან კრონიტრონის გაუჩინარებაში ჩერნოვეცისა და ადელაჯას ხელი ერია. ფროლოვა ამტკიცებდა, რომ მისია ქმარმა, გაუჩინარებამდე რამდენიმე დღით ადრე, აქტივიზი „პრაგექს-ბანკში“ ჩაღო და განაცხადა, რომ „პრავექსი“ მისი იდეა, ბანკი კი მაღლ, მის საკუთრებაში გადავიდოდა. თუმცა, ჩერნოვეცისა და ადელაჯას ბრალეულობა არ დამტკიცდა. ეს სიცრუეა — ამტკიცებდა „ლონია-კოსმიოსი“ და მის სექტანტობაზეც ამგვარ კომენტარს აკეთებდა: „მოვინათლე 1953 წელს. არ გადავნათლულვარ. არსად გავქცეულვარ. მე მართლმადიდებელი ვარ“. თუმცა, ჩერნოვეცის გულწრფელობაში, ეჭვი ყოველთვის შეჰქონდათ.

აუდერებდა. საარჩევნო რეპერტუარიდან, საყვარელი სიმღერა ბიკოვის ლიბიმაя მო იყო. მომღერალი „ლონია-კოსმოსი“, მაყურებელს ტელეეთერითაც არაერთხელ უნახავს — ხშირად, რაიმე მნიშვნელოვან საკითხზე კომენტარის ჩამოსართმევად მისულ უურნალისტებს კიევის თავისაც რომელიმე ბალადას წაუღილებდა. ეს, ალბათ, კონკრეტულ პრობლემასა თუ ბრალდებაზე პასუხისმგებან თავისარიდება უფრო იყო, ვიდრე ნიჭის დემონსტრირება, რადგან ნიჭის შესახებ საქვეყნოდაა ცნობილი. მას მუსიკალური ალბომებიც აქვთ გამოცემული და როგორც ამბობება, მსმენელთა რაოდენობაზეც ვერ დაინტენებს.

ლეონიდ ჩერნოვეცკის არც ორატორული ნიჭის გამო აქვს საწუნურო. როცა უნდა, კარგი დემაგოგიცაა, თუმცა, ონლაინსივ-რცები, მისი უფრო ისეთი ფაზები სარგებლობს პოპულარობით, რომლებითაც, როგორც ექსპერტები ამბობენ, მისი არაა დეკვი-ტურობა და „სიგაჟუ“ მტკიცდება. ისე, ამბობენ, საჯარო გამოს-ვლებისას, იგი უმეტესად ალეკოლის ან ნარკოტიკის ზემოქმე-დების ქვეშ იყო და რიგ შემთხვევაში, „ფრთიან სისულელესაც“ ამიტომ ახმივანებდა.

1. „შეიგძლობაში წევმი მასშიაბა შეუძლობალობა“:

ჩერნოვასების „ფრთიანი ფრაზები“

ფსიქოლოგები, ადამიანის ფსიქოტიპზე წარმოდგენას, მისი ლექსიკითა და გამონათქვამებითაც იქმნია. ამ ფონზე, გასაკვირი არ არის, რომ ჩერნოვეცკის „ფრთიანი ფრაზები“ სხვადასხვა პორტალზე ერთობ პოპულარულია. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ უკრაინაში ხუმრობდნენ, კიევის მერი უკეთ მღერის, გიდრელაპარაკობს. წინასაარჩევნო დაპირებებს ხშირად სიმღერით

შემოვარი პარტოვილი ლეპრესიას იწვევს

„ნოეს კიფორზანი” ფასმზადება


იაპონურმა კომპანიამ kosmo, რო-
მელიც სტიქიური უბდურების დროს
ხალის გადარჩენაზე მუშაობს, „ნოეს
კოდობანი“ დამზადა. ის ჩოგბურთი
ბურთს ნააგავს, მცირე ზომისაა და
სახლში დიდ ადგილსაც არ იკავებს.
თანაც, ის შესაძლოა ბავშვებმა სა-
თამაში სახლადაც გამოიყენონ. ამ
„ბურთს“, რომელშიც 4 მოზრდილი
ადამიანი თავისუფლად ეტევა,
ცუნამისა და მიწისძვრის დროს
დამცავი ფუნქცია აკისრია. ის გან-
საკუთრებით მტკიცე მინა-პლასტი-
კური მასალისგანაა დამზადებული.
იაპონლებს „ნოეს კოდობანმა“ ტეს-
ტები წარმატებით გაიარა და ფირმა
შეკვეთაზე იწყებს მუშაობას. ამ დროისთვის მათ უკვე 600 შეკვეთა აქვთ.



Եղիշեալ Եղիշե Եղիշեակ Աղւանակ


ეს ქერათმიანი შვედი ქალბატონი პიკსი ფოქსია, რომელიც ინტერნეტში სენსაციად იქცა. მან 15-ჯერ მიმართა პლასტიკურ ქირურგებს დახმარებისთვის, სასურველი შედეგისთვის რომ მიეღწია და წვრილი ნელი დაეყენებინა. საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასული მოდელი აქტიურად დაკავდა საკუთარი თავის „მოდერნიზებით“ — შეიცვალა თვალის ჭრილი, სახის კონტური, ცხვირის ფორმა, გაიდიდა ტუჩები, ოთხჯერ გაიდიდა მერდი და რაც მთვარია, 6 ნები ამოიცალა, რის შემდეგაც მისი წელი 35,5 სან-ტიმეტრამდე დავინწროვდა. ხშირად მეუძნებიან, რომ არასწორი გზა ავირჩიე და მულტიპლიკაციურ პერსონაჟს ვაგვარ, მაგრამ ეს ჩემთვის კომპლიმენტივით უდერს, — აცხადებს პიკსი საინტერესოა ისიც, რომ ამ „გარდასახვისთვის“ თავად დიდად არ დახარჯულა, პერაციებს თაყვანის მცემელთა მრავალრიცხვანი არმიის ფულით იყეობდა.





ვერილი მუსიკის ერთადებულობა

ფეხბურთის ახალი სახეობა, რომელიც ინდონეზიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შექმნეს, ხანდაზმულ ადამიანებს მეხსიერების აღ-დენასა და გაუმჯობესებაში დამტკიცებულია ტემპერატურის პროდუქტისგან და დიდი რაოდენობით ფიტოესტროგენისა თუ „ბე“-ჯგუფის ვიტამინს შეიცავს. მანამდე სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ვიტამინების ეს ნაერთი საგრძნობლად აუმჯობესებს მეხსიერებას. მკვლევარები ამბობენ, რომ სოიოს ეს ფეხბურთი გამოვიყენოთ საჭმელში ან უბრალოდ, გაეხსნათ წყალში და ისე მივირთვათ.



ვერილი

ვერილი სახეობა, სანკუტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამზადებელი და მთავარი რედაქტორი
მარა ფურცელაძე (599) 62-88-77
აასშეისმბეგმლი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მარა მიშელაძე, ნინო კომახიძე,
მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხსა გებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.